ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5343358

ნომერი: AR1806694

თარიღი : 01.03.2021

გაცემის თარიღი : 30.03.2021

გაცნობის თარიღი : 30.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანტონ ჩეხოვის ქუჩა, N 37/26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა თორაძე პ/ნ 01012016875
- თბილისი გარეკახეთის ქ. N 4 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4258090
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 9.11.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით იავრიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ნიკა"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206143699

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „ნიკა“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206143699
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ანა თორაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012016875

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 853.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 598.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2354.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 319.8
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 115.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 125.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 772.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 15.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7927.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5833.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2094.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.57
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.77
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 592.5/853=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1825.5/853=2.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 214.2/853=0.3
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 1007.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4626985
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 12.08.2019

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4626985
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.08.2019

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N882021018597, 31/01/2021 საკადასტრო კოდი N01.17.01.110.008)

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 23/03/2021 წლის MIA 5 21 00708363 წერილი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება N000749 და ჯარიმის გადახდის ქვითარი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, სხდომის ოქმი N7; 04.03.2021წ;

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ.თბილისში (სექტორი – ისანი), ჩეხოვის ქ.N37-ში, შპს „ნიკა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N01.17.01.110.008) ანტონ ჩეხოვის ქ. N37/26-ში სასტუმროს კორექტირებული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 30 მარტიდან 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით;
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაცია, მათ შორის:
4.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
4.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი „მშენებლობის ნებართვის გაცემისწესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 61-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
4.4 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე- საძირკვლისაგან;
4.5. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4.6. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრეების თანხმობა/ნებართვა.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 23/03/2021 წლის MIA 5 21 00708363 წერილის შესაბამისად, ვინაიდან არქიტექტურულმა პროექტმა განიცადა კორექტირება საჭიროა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტებში ცვლილებების შეტანა რომლის კორექტირებული პროექტებიც შედგენილი და წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოთ ხსენებულ უწყებაში სამი თვის ვადაში. კერძოდ: ა) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი; ბ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი; გ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტი; დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი; ე)შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტი; ვ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემის მოწყობის პროექტი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.